წარმოსადგენი დოკუმენტები

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში - დირექტორის/ უფლებამოსილი პირის; ფიზიკური პირის შემთხვევაში - ნაკვეთის მფლობელისა და უფლებამოსილი პირის);
- სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული ყველა მრავალწლიანი კულტურისათვის მიწის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო <u>რუკა),</u> იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;
- დასკვნა მიწის ნაკვეთის დამუშავების და, საჭიროების შემთხვევაში, წყლით უზრუნველყოფის შესახებ, გაცემული ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ;
- სანერგე მეურნეობიდან წარმოდგენილი ხელშეკრულება ან/და ინვოისი:

ადგილობრივი სანერგე მეურნეობიდან ნერგის შეძენის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ინვოისი, ასევე ხელშეკრულება, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობებს:

- სანერგე მეურნეობის სახელწოდება;
- ს/ნ, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა);
- ბენეფიციარის სახელი, გვარი (პ/ნ), კომპანიის შემთხვევაში სახელწოდება (ს/ნ);
- ნერგების მიწოდების ვადები:

- დასავლეთ საქართველოში 01/11/202- დან 30/04/202-- - მდე
- აღმოსავლეთ საქართველოში 10/11/202-- დან 30/04/202-- -მდე

- კულტურის დასახელება და ჯიში;
- ნერგის მახასიათებელი - ნერგის მიწისზედა ნაწილის სიმაღლე, არანაკლებ, სმ; ნერგის ფესვის ყელთან/ნამყენთან შტამბის დიამეტრი, არანაკლებ, სმ; ნერგის ფორმა A - შიშველფესვიანი B - კონტეინერიზებული; ნერგის ტიპი;

- ერთეული ნერგის ღირებულება ლარში;
- ჯამური ნერგების რაოდენობა და ჯამური თანხა ლარში;
- სანერგე მეურნეობის ვალდებულებები, სადაც მითითებული იქნება, რომ ბენეფიციარს გადაეცემა შეთანხმებული ხარისხისა და რაოდენობის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნერგები სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას;
- გადახდის პირობები (სანერგე მეურნეობა უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის ინვოისით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ნერგების სრულად გადაცემას, თუ ბენეფიციარის მიერ სანერგე მეურნეობის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულია/გადარიცხულია ინვოისით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნერგების ღირებულების არანაკლებ 30%).

ნერგის იმპორტის გზით შეძენის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინვოისი/ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობებს:

- სანერგე მეურნეობის სახელწოდება,
- ს/ნ, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა);
- ბენეფიციარის სახელი, გვარი (პ/ნ), კომპანიის შემთხვევაში სახელწოდება (ს/ნ);
- ნერგების მიწოდების ვადები;
- კულტურის დასახელება და ჯიში;
- ნერგის მახასიათებელი - ნერგის მიწისზედა ნაწილის სიმაღლე, არანაკლებ, სმ; ნერგის ფესვის ყელთან/ნამყენთან შტამბის დიამეტრი, არანაკლებ, სმ; ნერგის ფორმა A - შიშველფესვიანი B - კონტეინერიზებული; ნერგის ტიპი;
- ერთეული ნერგის ღირებულება ვალუტის მითითებით;
- ჯამური ნერგების რაოდენობა;
- მცენარის ეტიკეტთან (მცენარის პასპორტი) დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც მითითებული უნდა იყოს :

  სარგავი და გასამრავლებელი მასალის კატეგორია, ჯიშის დასახელება, სამირის დასახელება, წარმოების წელი, პარტიის ნომერი, გასამრავლებელი მასალის სახე (თესლნერგი, კალამი, კვირტი, ნერგი და ა. შ.), ეტიკეტის ნომერი, ეტიკეტის გამცემი ორგანოს დასახელება.

- შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია) ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- პოტენციური ბენეფიციარის მიერ საკუთარი ნერგების გაშენების შემთხვევაში სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ნერგების/ბენეფიციარის სანერგე მეურნეობის კვალიფიციურობის შესახებ;
- ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.